EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

გალოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 45512/11)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის საკასაციო სასამართლოს

თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

21 აგვისტო, 2021 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სამართალწარმოების ეპიზოდები და დაკისრებული სანქციები წარმოადგენს თანმიმდევრულ და თანაზომიერ ერთიან პროცესს ოჯახში ძალადობის ცალკეული ეპიზოდების და ქმედებათა ერთობლიობის დასასჯელად: *დარღვევა არ დადგინდა*

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი ოჯახში ძალადობის არაერთ ეპიზოდში, ცოლის და არასრულწლოვანი შვილების მიმართ, რამდენიმე წლის განმავლობაში, უფრო კონკრეტულად - ორ ეპიზოდში 2008 წლის იანვარსა და ნოემბერში. 2005 წლის თებერვალსა და 2008 წლის ნოემბერს შორის მომხდარი იმავე და სხვა მოვლენების გამო კი ის დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ოჯახში ძალადობის ეპიზოდებში. განმცხადებელმა ეროვნულ დონეზე უშედეგოდ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილებები, მოგვიანებით კი მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და დავობდა, რომ ის ერთი და იმავე ქმედების გამო, ეროვნულ დონეზე ორჯერ გაასამართლეს.

სამართლებრივი შეფასება

მე-7 ოქმის მე-4 მუხლი

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოცემული საქმისთვის რელევანტური თითოეული სამართალწარმოება სისხლისსამართლებრივი ხასიათის იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებას, იყო ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების იდენტური. ეროვნული სასამართლოების მტკიცებით, განმცხადებლის ქმედება, რომლის გამოც მას პასუხისმგებლობა დაეკისრა ადმინისტრაციული წესით, აღწევდა სიმძიმის ზღვარს, რომელიც დადგენილია სისხლისსამართლებრივ ჭრილში განხილვისა და სასჯელის დაკისრებისთვის: ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო პირის სამართალდამრღვევად ცნობას, წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების განუყოფელ ნაწილს. ევროპული სასამართლოს ამოცანა იყო იმის დადგენა, მოხდა თუ არა სამართალწარმოების პროცესების დუბლირება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სამართალწარმოება მიზნად ისახავდა ოჯახში ძალადობის კონკრეტულ შემთხვევაზე დაუყოვნებლივ რეაგირებას, რომელიც, თავის მხრივ, არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს; ამ სამართალწარმოების მიზანი იყო ოჯახში ძალადობის ესკალაციის პრევენცია და დაზარალებულის დაცვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა განმცხადებელთან მიმართებით გამოყენებული ღონისძიებები არაერთ განცალკევებულ შემთხვევაში. როდესაც განმცხადებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ მიაღწია სიმძიმის გარკვეულ ზღვარს, მას ბრალი წაუყენეს, რაც მიზნად ისახავდა ძალადობის მიმდინარე პროცესზე ყოვლისმომცველ რეაგირებას. ცალკეული ინციდენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, სხვა ეპიზოდებთან ერთად, მიუთითებდა ქმედებათა ერთობლიობაზე, გავლენას ახდენდა განმცხადებლის დასჯადი ქმედების სერიოზულობის შეფასებაზე და მხოლოდ ქმედებათა ერთ მთლიანობად აღქმის შემთხვევაში ასახავდა დაზარალებულებზე მათ კუმულაციურ გავლენას. მოცემულ გარემოებებში, ევროპულ სასამართლოს არანაირი მიზეზი არ გააჩნია

სამართალწარმოების პროცესების ამგვარი ნაწილობრივი დუბლირების გასაკრიტიკებლად.

რაც შეეხება განმცხადებლისთვის სამართალწარმოების დუბლირების განჭვრეტადობას, ოჯახის უახლოესი წევრების მიმართ ძალადობრივი ქმედებების განხორციელებისას განმცხადებელს უნდა სცოდნოდა, რომ ამას შედეგად მოჰყვებოდა კონკრეტულ ინციდენტთან დაკავშირებით სამართალწარმოების დაწყება „ოჯახში ძალადობისგან დაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე, ოჯახში ძალადობის განგრძობადი და განმეორებითი აქტების გამო კი - სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

რაც შეეხება სამართალწარმოების მიმდინარეობას, სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ არსებული სასამართლო გადაწყვეტილებები და გამოიყენა შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში არსებული მტკიცებულებები. სისხლის სამართლის სასამართლომ გადაწყვიტა სასამართლო პროცესზე ზოგიერთი მოწმის კიდევ ერთხელ დაკითხვა, რაც შეიძლება ჩაითვალოს მსჯავრდებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების განუყოფელ ნაწილად და ბრალდებულისთვის კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებების დაცვის გარანტიად. შესაბამისად, ორ სასამართლოს შორის კავშირი და კოორდინაცია ჯეროვნად ხორციელდებოდა და სამართალწარმოების განსახილველი ორი პროცესი წარმოადგენდა ერთ მთლიანობას. აქედან გამომდინარე, განმცხადებელს არ განუცდია სამართალწარმოების დუბლირებასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები გარდა იმისა, რაც მკაცრად აუცილებელი იყო მოცემულ სიტუაციაში.

რაც შეეხება დაკისრებულ სანქციას, განმცხადებლისთვის დაკისრებული თითოეული სახდელის დანიშვნისას სასამართლომ გაითვალისწინა წინა სამართალდარღვევების გამო დაკისრებული სახდელები. შემდგომში, სისხლის სამართლის სასამართლომ ცალსახად ცნო, რომ განმცხადებელს სახდელები დაედო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე ჩატარებული ხუთი სამართალწარმოების ფარგლებში. სასამართლომ სასჯელის სახით დაკისრებული თავისუფლების აღკვეთის ვადა შეამცირა იმ ვადით, რა პერიოდიც განმცხადებელმა ჩადენილი ორი სამართალდარღვევის გამო გაატარა ადმინისტრაციულ პატიმრობაში. შედეგად, ეროვნულმა სასამართლოებმა მთლიანობაში უზრუნველყო, რომ განმცხადებლისთვის დაკისრებული სასჯელი ყოფილიყო ჩადენილი სამართალდარღვევის თანაზომიერი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელს არ დაკისრებია გადაჭარბებულად მძიმე ტვირთი.

დაბოლოს, რაც შეეხება სხვადასხვა ტიპის სამართალწარმოებას, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ დროის ელემენტი - ოჯახში ძალადობის კონკრეტული კონტექსტის და დინამიკის გათვალისწინებით - მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მნიშვნელოვანი იყო, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეროვნული სისტემა ეფექტიანად გამკლავებოდა ოჯახში ძალადობის როგორც ინდივიდუალურ შემთხვევებს, ისე - ამ ფენომენს მთლიანობაში, ისეთი შემაკავებელი ღონისძიებების გატარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციას. ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლები ინფორმირებისთანავე ჩაერივნენ ოჯახში ძალადობის ცალკეულ ინციდენტებში, რათა

მსხვერპლთათვის აღმოეჩინათ დახმარება. ინციდენტები მოხდა დროის მოკლე პერიოდში (მიახლოებით სამი წლის განმავლობაში), მიაღწია სერიოზულობის გარკვეულ დონეს, „კულმინაცია“ კი იყო 2008 წლის 3 ნოემბერს, რის შემდეგაც დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვა, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ოჯახში ძალადობის (განგრძობადი დანაშაული) ბრალდებით, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. რეალურად, გამოძიება დაიწყო 2009 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც ბოლო ინციდენტთან დაკავშირებით განმცხადებელს ბრალი წაუყენეს 2009 წლის იანვარში - სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ორი დღით ადრე. შესაბამისად, მოკლე დროში სამართალწარმოების ამ ორი პროცესის პარალელური მიმდინარეობის უარყოფითი შედეგები განმცხადებლისთვის უმნიშვნელო იყო. სისხლის სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში გაგრძელდა რვა თვის განმავლობაში, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებში კი - დამატებით 2,5 წელს. შესაბამისად, აღნიშნული სამართალწარმოებები დროში საკმარისად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, ამიტომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყება ვერ ჩაითვლება განმცხადებლის უფლებათა დარღვევად.

მთლიანობაში, სამართალწარმოების პროცესები და შეფარდებული სახდელები წარმოადგენდა თანმიმდევრულ და პროპორციულ მთლიანობას, რომელიც იძლეოდა განმცხადებლის მიერ ჩადენილ ცალკეულ ქმედებათა და ქმედებათა ერთობლიობის ეფექტიანად და პროპორციულად დასჯის საშუალებას.

დასკვნა: *დარღვევა არ დადგინდა (ერთხმად).*

ევროპულმა სასამართლომ ასევე არ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა განმცხადებლისთვის სააპელაციო სასამართლოს წინაშე დაცვის პოზიციის მოსამზადებლად განსაზღვრული პერიოდის სიმცირესთან დაკავშირებით; მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე განმცხადებლის დაუსწრებლობის კონტექსტში.